



# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

## ბრძანება N 181

20/06/2014

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის N341 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

### მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი“.

**მუხლი 2.** ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების საჯაროდ გამოცხადება.

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაში შევიდეს 2014 წლის 26 ივნისიდან.

ნოდარ ხადური

მინისტრი

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი

### პრეამბულა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცნობიერებს რა საკუთარ როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, წინამდებარე კოდექსით აღიარებს საკუთარ პატივისცემას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სახელმწიფო წყობილების, საერთაშორისო სამართლის პრინციპების, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და სამინისტროს ღირებულებების მიმართ.

### მუხლი 1. ეთიკის კოდექსის მიზანი

1. ეთიკის კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეებში საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისადმი პატივისცემის განმტკიცება და სამსახურებრივი მოვალეობების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავება.

2. კოდექსი განსაზღვრავს იმ ძირითად ღირებულებებს, ქვეყნის ნორმებს და ეთიკის პრინციპებს, რასაც პატივი უნდა სცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულმა ყველა საჯარო მოსამსახურემ და რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თითოეულმა მათგანმა ყოველდღიური თანამდებობრივი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას. აღნიშნული ნორმებისა და ღირებულებების პატივისცემით საჯარო მოსამსახურეები განამტკიცებენ საჯარო სექტორში არსებულ ეთიკურ პრინციპებს და აამაღლებენ მოქალაქეთა ნდობას საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისა და მათი საქმიანობის მიმართ.

### მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

ეს კოდექსი ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულ ყველა საჯარო მოსამსახურეზე.

### მუხლი 3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მისია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების განსახორციელებლად სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან და გამჭვირვალე მართვას, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემოსავლების მობილიზებას, ფისკალური დისციპლინის შენარჩუნებას, სახელმწიფო ვალის პრაგმატულ და კონსერვატიულ მართვას, საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის გამოვლენასა და აღკვეთას.

### მუხლი 4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების ძირითადი ღირებულებები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების ძირითადი ღირებულებებია:

- ა) საქართველოს სახელმწიფოსადმი ერთგულება;
- ბ) დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა და დაცვა;

- გ) ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;
- დ) თანასწორობა;
- ე) პროფესიონალიზმი;
- ვ) ეფექტიანობა;
- ზ) სამართლიანობა;
- თ) ობიექტურობა;
- ი) საქმისადმი ერთგულება;
- კ) გუნდური მუშაობა;
- ლ) კოლეგიალობა.

## **მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფოსადმი ერთგულება, დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა და დაცვა**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ყველა საჯარო მოსამსახურემ, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა და პოლიტიკური შეხედულებისა, უნდა დაიცვას და პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და საკუთარი ქვევით ხელი შეუწყოს ქვეყნის წინსვლასა და დემოკრატიის განმტკიცებას.

## **მუხლი 6. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა და თანასწორობა**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურე პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს, კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობას განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, ასაკისა, შეზღუდული შესაძლებლობის, საზოგადოებრივი ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილებისა, ოჯახური მდგომარეობისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა. მიუკერძოებლად ემსახუროს საქართველოს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს.

## **მუხლი 7. პროფესიონალიზმი და ეფექტიანობა**

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურე მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწისაკენ. საჯარო მოსამსახურემ კეთილსინდისიერად და სრულყოფილად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და მთელი ძალისხმევა მიმართოს არსებული რესურსით მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

## **მუხლი 8. სამართლიანობა, ობიექტურობა და საქმისადმი ერთგულება**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურე მიუკერძოებლად უნდა ემსახუროს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს, მხოლოდ უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა გასცემდეს დასაბუთებულ ინფორმაციას და რჩევებს, კომპეტენციის ფარგლებში, უნდა იღებდეს ობიექტურ გადაწყვეტილებებს, უნდა ზრუნავდეს მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომების დროულ გამოსწორებაზე, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას სრულად უნდა იყენებდეს სამინისტროს მიზნების მისაღწევად.

## **მუხლი 9. გუნდური მუშაობა და კოლეგიალობა**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურე პატივისცემით უნდა ექცეოდეს კოლეგებს და მათ საქმიანობას. გუნდური სულისკვეთება და ურთიერთთანამშრომლობა უზრუნველყოფს სამუშაო პროცესში საჯარო მოსამსახურეთა მაღალ

ჩართულობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სამინისტროს ძირითადი მიზნების ერთობლივი ძალისხმევით მიღწევას.

2. საჯარო მოსამსახურებმა კოლეგებთან ურთიერთობისას უნდა დაიცვან საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმები და ხელი შეუწყონ ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას.

3. საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან:

ა) ყოველდღიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პატივი სცენ კოლეგების აზრს, უფლებამოსილებებს და შესასრულებელ/შესრულებულ სამუშაოს;

ბ) პირნათლად შეასრულონ კოლეგებთან დადებული ფორმალური/არაფორმალური შეთანხმებები და აცნობონ კოლეგებს მათი შესრულების შესახებ;

გ) თხოვნის შემთხვევაში და კომპეტენციის ფარგლებში, დაეხმარონ კოლეგებს სამუშაოს შესრულებაში;

დ) სამუშაოს ეფექტურად შესრულების მიზნით დროულად გაცვალონ კოლეგებთან მათ ხელთ არსებული ინფორმაცია და რესურსები;

ე) კოლეგების შეურაცხყოფის (ფიზიკური და სიტყვიერი) გარეშე მართონ სამუშაო ან/და პირადი უთანხმოებები და კონფლიქტები.

## **მუხლი 10. საჯარო მოსამსახურეთა ზოგადი ვალდებულებები**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი წარმოადგენენ სამინისტროს მესამე პირებთან ურთიერთობისას. სამუშაოს შესრულებისას მათი ქცევა და ჩაცმულობა, უნდა შეეფერებოდეს სამინისტროს შინაგანაწესით განსაზღვრულ ნორმებს. დაუშვებელია, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას საჯარო მოსამსახურე იმყოფებოდეს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

2. საჯარო მოსამსახურეებმა უნდა დაიცვან სამინისტროს შინაგანაწესი და მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები, უნდა გაუფრთხილდნენ სამინისტროს ქონებას და კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული სახელმწიფო რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეს არა აქვს უფლება გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოიყენოს სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

4. ინტერესთა შეუთავსებლობად ჩაითვლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სამინისტროს ინტერესებთან. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ობიექტურად ეჭვქვეშ დააყენოს ან გავლენა იქონიოს დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების მიუკერძოებელ და ობიექტურ შესრულებაზე.

5. საჯარო მოსამსახურეთა ქცევა სამინისტროში და სამინისტროს გარეთ, არ უნდა ლახავდეს სამინისტროს იმიჯს და ნეგატიურ გავლენას არ უნდა ახდენდეს მუშაობის პროცესსა და შესასრულებელი/შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

## **მუხლი 11. პასუხისმგებლობა კოდექსის დარღვევისათვის**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეების მიერ ამ კოდექსით განსაზღვრული ნორმების შესრულების კონტროლს ახორციელებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

2. ამ კოდექსის ნორმების დარღვევა გამოიწვევს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.